

მცხეთა –
მთიანეთი



I. ზოგადი მიმოხილვა

1. ტერიტორიის ფართობი

მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის ფართობი 6.8 ათასი კვ.კმ-ია, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 9.2%-ს შეადგენს.



რეგიონს ესაზღვრება თბილისი, კახეთი და შიდა ქართლი. მცხეთა-მთიანეთს სახელმწიფო საზღვარი აქვს რუსეთის ფედერაციასთან.

2. თვითმმართველი ერთეულები

მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია: მცხეთის, დუშეთის, ახალგორის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები. რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრია ქ. მცხეთა. მცხეთასა და თბილისს შორის მანძილი 27 კმ-ია. რეგიონის სხვა ქალაქები თბილისიდან შემდეგი მანძილითაა დაშორებული: დუშეთი – 56 კმ, ახალგორი – 70 კმ, თიანეთი – 77 კმ, სტეფანწმინდა – 154 კმ.

II. ბუნებრივი რესურსები და ბარემო

1. მინერალურ-რეკრეაციული რესურსი

რეგიონში მოიპოვება შემდეგი მინერალური რესურსები: გრანიტი, დიაბაზი, ანდეზიტი, ფიქლები, ტორფი, ტუფი, მარმარილო, კირქვა, ინერტული მასალები, სამრეწველო თიხა, კირქვა და ქვიშაქვა.

2. წყლის რესურსი

ტერიტორია მდიდარია წყლის რესურსით. მხარის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: არაგვი, მტკვარი, თერგი, იორი. რეგიონი მდიდარია ბუნებრივი მინერალური წყლებით, სუფთა წყაროს წყლებით და სამკურნალო მინერალური წყლებით.

3. ჰიდრო რესურსი

რეგიონი მდიდარია ჰიდრორესურსებით, ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნიან მდინარეები: მტკვარი, არაგვი, ქსანი, თერგი და მათი შენაკადები. აღსანიშნავია ბუნებრივი ტბები და წყალსაცავები. ესენია: ბაზალეთის ტბა, ლისის ტბა, ყელის ტბა, ჯვრის ტბა, ჟინვალის წყალსაცავი.

4. ენერგეტიკული რესურსი

მცხეთა-მთიანეთში ფუნქციონირებს შვიდი ჰიდროელექტროსადგური:

- “ზაჰესი” – მცხეთა;
- “სიონჰესი” – თიანეთი;
- “დარიალი” – ყაზბეგი;
- “ჟინვალჰესი”, “არხოტი”, “მატილი”, “როშკა” – დუშეთი.

5. სატყეო რესურსი

რეგიონში, ტყის ფონდის საერთო ფართობი 277.1 ათას ჰა-ს შეადგენს, რაც საქართველოს საერთო ტყის ფონდის 9.2%-ია. ამასთან, ტყით დაფარულია ტერიტორიის 256.5 ათასი ჰა., რაც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 37.8%-ს შეადგენს.

მხარე მდიდარია ტყის მასივებით, გავრცელებულია შემდეგი ხის ჯიშები: წიფელი, მუხა, თელა, რცხილა. ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობამ 93 132 კუბური მეტრი შეადგინა, მთლიანი მოცულობის 11.6%.

6. დაცული ტერიტორიები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიაზე შემდეგი დაცული ტერიტორიებია:

- ლიახვის **სახელმწიფო ნაკრძალი** – დაარსდა 1977 წელს, ფართობი – 6 388 ჰა;
- ყაზბეგის **ეროვნული პარკი**, ფართობი – 87 007 ჰა;

III. ადამიანური, სოციალური და კულტურული კაპიტალი

1. მოსახლეობა

2009 წლის წინასწარი მონაცემებით რეგიონის მოსახლეობა 118.1 ათას ადამიანს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 2.7%-ია.

თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, ყველაზე ბევრი მოსახლე მცხეთის მუნიციპალიტეტში – 59.4 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც რეგიონის მთლიანი მოსახლეობის 50%-ია.

2008 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ 1 418 კაცი შეადგინა, რაც სულ დაბადებულთა რაოდენობის 3%-ია, ხოლო გარდაცვალებულთა რაოდენობამ 1248 კაცი შეადგინა, რაც საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობის 3%-ია.

2. განათლება

მცხეთა-მთიანეთში ფუნქციონირებს 62 სკოლამდელი დაწესებულება, 83 – დაწყებითი, 35 – საბაზო ცხრაწლიანი, ხოლო 76 – სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

3. სოციალური უზრუნველყოფა

2008 წელს პენსიონერების რიცხოვნობამ 21 534 კაცი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.4%-ით ნაკლებია, ხოლო საქართველოს მთლიან პენსიონერთა რაოდენობის 48.7%-ია.

4. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა

მცხეთა-მთიანეთში გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით.

ახალგორი: ბერცისშის, ალავერდის და კორას კომპლექსები (VI–VII სს), ქარხოხის ციხე (XVII სს), ქსნის არმაზის წმ. გიორგის ეკლესია, ღვთისმშობლის სამნავიანი ბაზილიკა, სამება (V–VI სს), ხოფა-სამონასტრო ანსამბლი და ა.შ.

მცხეთა: მცხეთის აკლამა, ჯვრის ეკლესია (V ს), ანტიოქია (VII–VIII სს), სვეტიცხოველი (XI ს), არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია (XII ს), არმაზის ციხე (VIII–XV სს), ბებრის ციხე და ა.შ.

ღუშეთი: მჭადიჯვრის ეკლესია (XVII–XVIII სს), ანანურის სურთომოდვრული ანსამბლი (გვიანდელი ხანა), ლომისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (VIII–IX სს), ქოროღლის კომპლექსი (X–XII სს), ციხე-სოფელი შატილი და ციხე-სოფელი – მუცო.

ყაზბეგი: სნოს ციხე (XVI–XVIII სს), არშის ციხე (IX სს), სიონის ეკლესია (IX–X სს), გერგეთის ყველაწმინდა სამების ტაძარი (XIV ს), თრუსოს ხეობა და ა.შ.

თიანეთი: ბოჭორმის ციხე-სიმაგრე (X ს), არჩილის სამონასტრო კომპლექსი (739-745 წწ), მთავარანგელოზის ეკლესია სოფ. ალტოში (IV ს) და ა.შ.

რეგიონში ფუნქციონირებს თეატრი, მუზეუმები, ბიბლიოთეკები. 2008 წელს ფუნქციონირებდა 6 მუზეუმი.

მუზეუმებიდან აღსანიშნავია: ერისთავების სახლ-მუზეუმი, ღუშეთის და თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დიდი მცხეთის მუზეუმი, აგრეთვე ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, მირზა გელოვანის, აღ. ყაზბეგის სახლმუზეუმები და სხვა.

2008 წელს განხორციელდა რეგიონში 860 ექსკურსია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 15.43 %-ით მეტია და ჩატარდა 37 გამოფენა.

მცხეთა-მთიანეთში ფუნქციონირებს 69 ბიბლიოთეკა.

IV. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

1. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

მხარეში ფუნქციონირებს შიდა საქალაქო და საქალაქთაშორისო სატელეფონო ქსელები, ტერიტორიის 70% დაფარულია მობილური კავშირის სატელეფონო ქსელებით. ინტერნეტით სარგებლობს ქ. მცხეთის მოსახლეობა სრულად.

2. გზები

რეგიონში სხვადასხვა კატეგორიის გზების ქსელის საერთო სიგრძე 1 769 კმ-ს შეადგენს. მათ შორის, საერთაშორისო მნიშვნელობის გზის სიგრძე 350 კმ-ია, რაც საქართველოს საერთაშორისო გზების სიგრძის 23,4%-ია.

2004-2008 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ჯამში 197 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთზე. 2009 წელს სამუშაოები მიმდინარეობს 26 კმ-ის გზის მონაკვეთზე.

მცხეთა-მთიანეთში სარკინიგზო ხაზი გადის მცხეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე ფუნქციონირებს მცირე აეროპორტი „ნატახტარი“.

V. ადგილობრივი ეკონომიკა

1. რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები

ბოლო პერიოდში რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2008 წელს რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობამ 6 349 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7,7%-ით მეტია.

2009 წლის პირველ კვარტალში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა 6 601-ით განისაზღვრა.

2. დასაქმება

ათასი კაცი

2008 წელი	მცხეთა-მთიანეთი		საქართველო
	რაოდენობა	წილი %	რაოდენობა
სულ აქტიური მოსახლეობა	39,9	2,1	1 917,8
მომუშავე	32,9	2,1	1 601,9
დაქირავებული	12,1	2,1	572,4
თვითდასაქმებული	20,8	2,0	1028,5
გაურკვეველი უმუშევარი	0,0	0,0	1,1
უმუშევრობის დონე (%)	17,7		16,5
აქტიურობის დონე (%)	57,1		62,6
დასაქმების დონე (%)	47,0		52,3

3. ეკონომიკა

რეგიონის ეკონომიკა წარმოდგენილია შემდეგი სექტორებით: მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სამეწარმეო სფერო, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

2008 წელი		მცხეთა-მთიანეთი		საქართველო
		რაოდენობა	%	რაოდენობა
მრეწველობა	დასაქმება (კაცი)	1 630	1,9%	85 711
	ბრუნვა (მლნ. ლ)	113,9	2,5%	4 637,6
	გამოსუვება (მლნ.ლ)	98,9	2,6%	3 821,8
სამეწარმეო სფერო	დასაქმება (კაცი)	4 346	1,2%	349 250
	ბრუნვა (მლნ. ლ)	140,7	0,7%	19 650,7
	გამოსუვება (მლნ.ლ)	125,3	1,2%	10 248,4
ტრანსპორტი და პოსტკავშირები	დასაქმება (კაცი)	76	0,2%	50 560
	ბრუნვა (მლნ. ლ)	1,1	0,0%	3 004,7
	გამოსუვება (მლნ.ლ)	1,1	0,1%	2 043,6
მშენებლობა	დასაქმება (კაცი)	664	1,7%	38 109
	ბრუნვა (მლნ.ლ)	9,1	0,6%	1 412,0
	გამოსუვება (მლნ.ლ)	9,1	0,6%	1 434,7
ვაჭრობა	დასაქმება (კაცი)	143	0,3%	55 278
	ბრუნვა (მლნ.ლ)	4,5	0,0%	9 238,0
	გამოსუვება (მლნ.ლ)	0,6	0,0%	1 464,7

4. სოფლის მეურნეობა

მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. წამყვანი დარგებია: მეხილეობა, მევენახეობა, მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი, სიმინდი), მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მეცხვარეობა, მეღორეობა), მეთევზეობა, მებოსტნეობა.

მცხეთა-მთიანეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობი 291.1 ჰა შეადგენს. მათ შორის:

- სახნავი – 38,4 ჰა;
- მრავალწლიანი ნარგავები – 7,5 ჰა;
- სათიბი – 14,5 ჰა;
- საძოვარი – 229,3 ჰა;
- საცხოვრებელი, სამეურნეო შენობები და ნაგებობები – 1,4 ჰა;
- სხვა დანარჩენი – 17,6 ჰა.

5. საწარმოები

2009 წლის მონაცემებით მცხეთა-მთიანეთში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა იყო 604, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 1.6 პროცენტია. მათ შორის:

- მსხვილი საწარმო – 31;
- საშუალო საწარმო – 45;
- მცირე საწარმო – 528;

რეგიონში მოქმედი მსხვილი საწარმოებია:

მცხეთა:

- სს “მინა” – მინის ტარის წარმოება, სოფ. ქსანი;
- შპს “ავტო-2001” – სასაქონლო ბეტონის წარმოება, საგურამო;
- ი/ს “ელგუჯა ნოზაძე-განთიადი” – ხორც-კვერცხის შერეული წარმოება, სოფ. მუხრანი;
- შპს “ნეზლობა” – ღორდლიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება, მუხრანის მიმდებარე ტერიტორია.

დუშეთი:

- შპს “საქართველოს სამხედრო გზა” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა, დაბა ფასანაური;
- შპს “ცენტრი” – სასტუმროები და რესტორნები, ბაზალეთის თემის საკრებულო.

დაბა ახალგორი:

- შპს “ლომისი” – ლუდის წარმოება.

ყაზბეგი

- სს “გუდაური” – სასტუმროები და რესტორნები, გუდაური.

6. პრივატიზაცია

2008 წელს პრივატიზებული იქნა 15 ობიექტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 44.4 %-ით ნაკლებია, (2007 წელს პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა 27 ერთეულით განისაზღვრა) რაც მთლიანად საქართველოში პრივატიზებული ობიექტების 2.3%-ია.

2004 წლიდან დღემდე მცხეთა-მთიანეთში პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა 101 შეადგენს, რაც მთლიანად საქართველოში 2004 წლიდან პრივატიზებული ობიექტების 4%-ია.

7. საინვესტიციო პოტენციალი

- კვების გადამამუშავებელი მრეწველობა – ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება;
- მარცვლეული მეურნეობის განვითარება;
- მატყლის გადამამუშავებელი მიკროფაბრიკის აშენება;
- ხის გადამამუშავებელი მრეწველობისა და ავეჯის წარმოების განვითარება ადგილობრივი და რეგიონალური ხე-ტყის ნედლეულის გამოფენით;
- მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობის განვითარება;
- მინერალური წყლები (ყაზბეგის მუნიცი-

პალიტეტი);

- ხალხური რეწვა-ხალიჩების ქსოვა, ხეზე კვეთა, ქარგვა, ქსოვა.

VI. ტურიზმი

1. კურორტები და პოტენციური საკურორტო ადგილები

მცხეთა-მთიანეთში სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების უდიდესი რესურსია. დომინირებს ორი ტურისტული პროდუქტი:

- საკურორტო ადგილები (ანანური, ფასანაური, სიონი, სტეფანწმინდა, ცხვარიჭამია, ბაზალეთის ტბა);
- ზამთრის დასვენება (ფასანაური, გუდაური);

რეგიონში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გუდაური და ბაზალეთი, დაბა სიონი, პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი, თრუსოს ხეობა, ხადოს ხეობა, კაკვასიონის მწვერვალები და სხვ. უმნიშვნელოვანეს ტურისტულ ატრაქციას წარმოადგენს ასევე ქ. მცხეთა, რომელიც თავისი ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულების გამო შესულია იუნესკოს მსოფლიო კულტურის საგანძურთა ნუსხაში.

მცხეთა-მთიანეთში ვხვდებით ე.წ. “აღმოჩენით ტურიზმს”, “კულტურულ ტურიზმს” (ბუნებისა და ისტორიული ძეგლების გაცნობა), ასევე სამთო-სათხილამურო ტურიზმს და სხვ.

რეგიონში სულ 5 კურორტი და 25 საკურორტო ადგილია. დუშეთის და ყაზბეგის მხარეში არის ბალნეო-კლიმატურ და კლიმატო-ბალნეოლო-გიურ ტიპის კურორტები.

2. სასტუმროები


მცხეთა-მთიანეთში სულ 37 ტურისტულ-საკურორტო ობიექტია. მთელი წლის განმავლობაში მუშაობს 12 სასტუმრო, 20 სასტუმრო სახლი და 5 დასასვენებელი სახლი.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასტუმროებია: “მცხეთა პალასი”, “გუდაური”, “სტეფანწმინდა”, “თრუსო”, “სასტუმრო 7”, “ოზონი”, “მამო”, “ჯვრის უღელტეხილი”, პანორამა”, “gudauri alpine hut”, ბაზალეთის ტბის დასასვენებელი კომპლექსი.


VII. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები

1. ქონების გადასახადი

მცხეთა-მთიანეთის მხარეში 2008 წელს ქონების გადასახადიდან შემოსულმა თანხამ 3 922.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ქონების გადასახადიდან შემოსული თანხის მხოლოდ 3%-ია.




ქონების გადასახადში ყველაზე მაღალი წილი საწარმოთა მიერ ქონების გადასახადს უკავია, მთლიანი გადასახადის 59%.



2. ადგილობრივი მოსაკრებლები

2008 წელს ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 103.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლის მხოლოდ 0.17%-ია. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსაკრებლის 94% მხოლოდ მცხეთის მუნიციპალიტეტზე მოდის.



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტრანსფერების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

	გამოთანაბ.	მიზნობრ.	სპეციალ.	სულ:
	ათასი ლარი			
ახალგორი	1 256,0	124,0	407,5	1 787,5
დუშეთი	2 180,0	90,0	571,5	2 841,5
თიანეთი	691,0	85,0	641,3	1 417,3
მცხეთა	-	300,0	4 403,4	4 703,4
ყაზბეგი	385,0	27,0	806,4	1 218,4
სულ:	4 512,0	626,0	6 830,1	11 968,1

3. ფინანსური დახმარებები

ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსურმა დახმარებებმა ტრანსფერის სახით 11 968.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით გაცემული ტრანსფერების მხოლოდ 2.4%-ია.

